

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N
2016 წლის - იანვარი
ქ. ოზურგეთი

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 16-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დაადგინა:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 თებერვლის N2 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 08/02/2016 სარეგისტრაციო კოდი 190040000.35.171.016107).

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

გელა კობალაძე

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი

ეს წესი განსაზღვრავს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს, დახმარების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ უწყებას, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღის ცენტრში, პირის მოთავსების თანადაფინანსების წესსა და პირობებს.

სოციალური პროგრამები ითვალისწინებს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ფარგლებში მოხდება შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, ვეტერანთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსაკუთრებულ საჭიროების მქონე პირთა დახმარება, უსახლკარო მოქალაქეთა დახმარება, მზრუნველობა მოკლებულთა დახმარება უფასო კვებით, კომუნალური სუბსიდირება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

თავი I

სოციალური დახმარება

მუხლი 1. ფულადი დახმარება

1. მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა;
2. ვეტერანთა დახმარების პროგრამა;
3. შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების პროგრამა;
4. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა;
5. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა;
6. ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა;
7. უსინათლო პირების ერთჯერადი დახმარების პროგრამა;
8. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარების პროგრამა;
9. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა.
10. ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა;
11. კომუნალური სუბსიდირება;
12. “C” ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის კვლევის დაფინანსება.
13. უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება ბინის ქირით უზრუნველყოფა;
14. მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ფინანსური დახმარება;
15. ერთჯერადი სოციალური (ფულადი დახმარება).
16. განსაკუთრებულ საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა.
17. გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროგრამა.

18. საქველმოქმედო ასოციაცია „ გურია“;
19. მზრუნველობა მოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;
20. სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის“ მზის სხივი“პროგრამული დაფინანსება;
21. ხანდაზმულთა სახლისთვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამა.

1.2. მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დახმარების პროგრამა

პროგრამის მიზანია:

1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ ოთხი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვები და რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველ ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ სარეიტინგო ქულით 57 0001-დან 150 0001 - მდე მიიღებენ დახმარებას თითოეულ ბავშვზე 25 ლარის ოდენობით. მონაცემები ცვალებადია. ოთხშვილიან ოჯახს ერთ-ერთი შვილის 18 წლის ასაკის შესრულებისას ეხსნება დახმარება.
2. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ ოთხი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვები დარეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ სარეიტინგო ქულით 0 - დან 57 0001 - მდე, უფლება აქვთ მიიღონ ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით, საბიუჯეტო წლის განმავლობაში სამჯერ (საახალწლოდ, სააღდგომოდ და ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით) სულ 300 ლარი.

ოთხშვილიან ოჯახს ერთ-ერთი შვილის 18 წლის ასაკის შესრულებისას ეხსნება დახმარება.
3. პროგრამით სარგებლობის მსურველმა ოჯახმა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის განყოფილებაში უნდა წარმოადგინოს:

ა) მშობლის განცხადება;

ბ) ბავშვების დაბადების მოწმობები (ასლი);

გ) სოციალური მომსახურების სააგენტოდან ცნობა ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ;

დ) მშობლების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები (ასლი);

ე) ქორწინების მოწმობა - (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) ერთ-ერთი მშობლის საბანკო ანგარიშის ნომერი.

პროგრამით გათვალისწინებული კატეგორიის მიხედვით დგება რეესტრი, დაფინანსება მოხდება ყოველთვიურად ბანკის მეშვეობით, ფიზიკური პირის მიერ გახსნილ ანგარიშზე.

1.3. ვეტერანთა დახმარების პროგრამა

პროგრამის მიზანია:

1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სამამულო ომის ვეტერანებისათვის 1941-1945 წწ. 9 მაისს (ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი აღსანიშნავად) ერთჯერადი მატერიალური დახმარება 300 ლარის ოდენობით.

2. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, 2008 წელს დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება 300 ლარის ოდენობით.

3. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სამამულო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის 1992-93 წლებში დაღუპულთა, ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება 300 ლარის ოდენობით.

პროგრამის სუბიექტი:

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, ომის ვეტერანები და მათი ოჯახები.

პროგრამის სარგებლობის მსურველი ოჯახების სრულწლოვანმა წევრმა, ქალაქო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის განყოფილებაში უნდა წარმოადგინოს:

1. განცხადება;
2. მემკვიდრის პირადობის მოწმობა (ასლი);
3. მემკვიდრეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობა;
5. მემკვიდრის პირადი საბანკო ანგარიში;

ფულადი დახმარების გაცემა ხდება თანხის გადარიცხვით ბენეფიციარის პირად საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 1.4. ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა

პროგრამის მიზანი:

გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახებისათვის ხარჯის გაწევა, თითოეულ შემთხვევაში 250 ლარის ოდენობით

დახმარების მიმღებმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. მემკვიდრის განცხადება;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. ვეტერანის გარდაცვალების მოწმობის ასლი;
4. ვეტერანის დამადასტურებელი პლასტიკური ბარათი;
5. მემკვიდრის ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი;
6. თანხის მიმღების საბანკო ანგარიში.

მუხლი 1.5. შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა

პროგრამის მიზანია:

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ, მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას და სოციალური პროგრამების განხორციელებას. პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების პროგრამებს.

პროგრამის სუბიექტი:

1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეჭირვებული მოქალაქეები, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო მომსახურებას და რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველ ერთიან მონაცემთა ბაზაში 57 001 - დან 120 00 - მდე ქულით ერთჯერად ფინანსურ დახმარებას უნაღლო ანგარიშსწორებით, პირად ანგარიშზე ჩარიცხვით, მიიღებენ ერთჯერად ფინანსურ დახმარებას 150 ლარის ოდენობით.

2. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეჭირვებული მოქალაქეებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველ ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 150 001-მდე ქულით, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, წილობრივი გადასახდელი თანხიდან, გაეწევათ დახმარება:

ა) 0 - დან 500 ლარამდე - 70% დაფინანსებით წარმოდგენილი ანგარიშ - ფაქტურის საფუძველზე.

ბ) 501 - ლარიდან - 1500 ლარამდე - 400 ლარის ოდენობით.

გ) 1501 - ლარიდან ზემოთ - 500 ლარის ოდენობით.

პროგრამით სარგებლობის მსურველმა მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. მოქალაქის განცხადება;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. სამედიცინოდაწესებულების მიერ გაცემული ფორმა N IV-100/ა
4. სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული მკურნალობის კალკულაცია (ანგარიშ-ფაქტურა)
5. “სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ დაფიქსირებული ოჯახების სარეიტინგო ქულის ამონაწერი.
6. ანგარიშის ნომერი.

მუხლი 1.6. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა

პროგრამის მიზანი:

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ (სამაჩაბლო - აფხაზეთი) იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა. (დარეგისტრირებულია 28 იძულებით გადაადგილებული პირი)

პროგრამის სუბიექტი:

1. კომუნალური გადასახადებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები, თითოეული იძულებით გადაადგილებული ოჯახისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა, 200 ლარის ოდენობით;
2. იძულებით გადაადგილებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, სარიტუალო ხარჯების ასანაზღაურებლად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტობრივად მცხოვრები, გარდაცვლილის ოჯახს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება 250 ლარის ოდენობით;
3. კლინიკაში სამედიცინო მომსახურების, როგორც დაფინანსება ასევე თანაგადახდა 300 ლარის ოდენობით ფორმა 100 ის ან ანგარიშ - ფაქტურის წარმოდგენის საფუძველზე.

პროგრამით სარგებლობის მსურველმა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის განყოფილებაში უნდა წარმოადგინოს:

ა) დახმარება კომუნალურ გადასახადებსა და საყოფაცხოვრებო პირობებისათვის;

1. დევნილის განცხადება;
2. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი);
3. იძულებით გადაადგილებული პირის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი);
4. თანხის მიმღების საბანკო ანგარიშის ნომერი.

ბ) სარიტუალო ხარჯებისათვის;

1. განცხადება;
2. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი);
3. გარდაცვლილის იძულებით გადაადგილებული პირის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი);
4. თანხის მიმღების საბანკო ანგარიშის ნომერი.

გ) გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისათვის;

1. დევნილის განცხადება;
 2. დევნილის პირადობა და დევნილის დამადასტურებელი მოწმობა. (ასლები);
 3. ოჯახის სარეიტინგო ქულა (არსებობის შემთხვევაში)
 4. სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა #4 -100/ა;
 5. სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული მკურნალობის კალკულაცია (ანგარიშ - ფაქტურა);
- ფულადი დახმარების გაცემა ხდება თანხის გადარიცხვით ბენეფიციარის პირად საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 1.7. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა.

პროგრამის მიზანია:

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მძიმე საცხოვრებელ პირობებში მცხოვრები ოჯახები, რომელიც ირიცხება სოციალურად დაუცველ მონაცემთა ერთიან ბაზაში ქულით (0 - დან 1000 00 - 1 მდე) დახმარება და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფაქტობრივად რეგისტრირებული უსახლკაროდ დარჩენილი, მოქალაქეები, რომელიც ირიცხება სოციალურად დაუცველ მონაცემთა ერთიან ბაზაში მოქმედი სარეიტინგო ქულით 57 001-დან 100 001-მდე, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მინიმალური საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება ერთჯერადი ფულადი დახმარება არაუმეტეს **500** ლარის ოდენობით, საკითხს იხილავს სამუშაო ჯგუფი გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელიც საბოლოონგადაწყვეტილების მისაღებად, წარედინება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს.

პროგრამით სარგებლობის მსურველმა მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია, შესაბამისად მუხლისა:

1. განცხადება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ასლი);
3. საბანკო ანგარიში;
4. ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან (სარეიტინგო ქულა)

მუხლი 1.8. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარება

პროგრამის მიზანია:

პროგრამით გათვალისწინებულია ქ. ოზურგეთში რეგისტრირებულ ოჯახებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა არაუმეტეს 400 ლარის ოდენობით, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით სოციალური მიმართულების პროგრამებით გათვალისწინებული ფულადი დახმარებების მოსარგებლეების (ბენეფიციარების) არც ერთ კატეგორიას და დახმარების მიღებაზე თხოვნით მიმართვის დროს განიცდიან მათთვის დაუძლეველ, უკიდურესად მწვავე ეკონომიკურ სივიწროვეს. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება სამუშაო ჯგუფის მიერ.

1. დახმარების ოდენობა განისაზღვრება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის ოდენობაც არ უნდა აღემატებოდეს **400** ლარს;
2. დახმარების მიმღებმა პირმა ქალაქის მერიაში უნდა წარმოადგინოს:
 - ა) განცხადება მერის სახელზე;
 - ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
 - გ) ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან ასეთის არსებობის შემთხვევაში;

დ) საჭიროების შემთხვევაში სამუშაო ჯგუფის მოთხოვნით ნებისმიერ დოკუმენტი, დოკუმენტაცია და ინფორმაცია.

ე) ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით.

1.9. ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა

პროგრამის მიზანია:

100 და 100-ზე მეტი წლის მოქალაქეთა ერთჯერადი (200 ლარი) მატერიალური დახმარება. (რაოდენობა 5 ხანდაზმული)

პროგრამით სარგებლობის მსურველმა მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობა(ასლი);
3. დაბადების მოწმობა;
4. საბანკო ანგარიში.

10. უსინათლო-განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა.

პროგრამის მიზანია:

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ უსინათლო, მკვეთრად გამოხატული შესაძლებლობების შეზღუდვის სტატუსის მქონე ერთჯერადი ფულადი დახმარება. (150 ლარი) მონაცემები ცვალებადია.

პროგრამით სარგებლობის მსურველმა მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. მხედველობით განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირის დამადასტურებელი დოკუმენტი;.
3. ანგარიში ნომერი.

11. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა

პროგრამის მიზანია :

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რეგისტრირებული, თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით, წელიწადში ერთჯერ ტრანსპორტირებისათვის.

პერიტონალურ შემთხვევაში (ტრანსპორტირების თანხა) - ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით გაიცემა 2 ბენეფიციარზე.

პროგრამით სარგებლობის მსურველმა მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. ცნობა დიალიზის პროგრამით მოსარგებლის შესახებ (ფორმა 100), სტაციონარის მიერ გაცემული
3. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი);
4. თანხის მიმღების საბანკო ანგარიში;

ფულადი დახმარების გაცემა ხდება თანხის გადარიცხვით ბენეფიციარის პირად საბანკო ანგარიშზე.

12. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა

პროგრამის მიზანია:

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ დედ-მამით ობოლ 18 წლამდე ბავშვთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება (500 ლარის ოდენობით)

პროგრამით სარგებლობის მსურველმა მოქალაქემ უნდა აწარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. მეურვის განცხადება;
2. მეურვის პირადობის ასლი;
3. ცნობა მეურვეობის შესახებ;
4. ბავშვის დაბადების მოწმობის(ასლი);
5. მშობლების გარდაცვალების მოწმობები;
6. საბანკო ანგარიში.

ფულადი სახის დახმარების გაცემა ხდება თანხის გადარიცხვით, ბენეფიციარის პირად საბანკო ანგარიშზე.

13 „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის კვლევის დაფინანსება.

პროგრამის მიზანი:

„C“ ჰეპატიტით დაავადებული პირებისათვის სამკურნალო ღონისძიების ჩასატარებლად აუცილებელია დაავადების სტადიის გამოკვლევების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რათა ჩართული იქნენ სახელმწიფო ელიმინაციის პროგრამაში, თითო ბენეფიციარისათვის თანხა შეადგენს 330 ლარს, გადახდა განხორციელდება დაავადების სირთულის შესაბამისად წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

პროგრამით სარგებლობის მსურველმა მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია.

1. სამედიცინო დოკუმენტაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N IV-100/ა;

2. შესაბამისი კლინიკიდან ანგარიშ-ფაქტურა;
3. ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან მინიჭებული სარეიტინგო ქულის შესახებ;
4. ცნობა, რომელიც არ მოიძებნა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში.

14. უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დახმარება ბინის ქირით უზრუნველყოფა;

პროგრამის მიზანია ქალაქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართით (ბინის ქირის კომპენსაციით).

ბინის ქირავნობის (არაუმეტეს 125 ლარის) სარგებლობის მსურველმა მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს;

1. ბინის გამქირავებლის განცხადება;
2. ბინის მქირავებლის განცხადება;
3. ბინის მეპატრონის პირადობის მოწმობა (ასლი);
4. დოკუმენტი ბინის მფლობელობის შესახებ;
5. ბინის მეპატრონის საბანკო ანგარიში;
6. ხელშეკრულება ბინის მფლობელსა და დამქირავებელს შორის.

15. მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის „ახალშობილთა მატერიალური დახმარება.“

პროგრამის მიზანია

მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება 500 ლარის ოდენობით.

პროგრამით სარგებლობის მსურველმა ოჯახებმა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური დაცვის განყოფილებაში უნდა წარმოადგინოს:

1. მშობლის განცხადება;
2. ბავშვების დაბადების მოწმობები; (ასლები)
3. ერთ-ერთი მშობლის ან/და მეურვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
4. ქორწინების მოწმობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
5. ერთ-ერთი მშობლის საბანკო ანგარიშის ნომერი.

16. კომუნალური სუბსიდირება

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან-30000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახები მიიღებენ კომუნალურ სუბსიდიას 100 ლარის ოდენობით, კომუნალური სუბსიდია გაიცემა დადგენილი წესის შესაბამისად.

1. განცხადება;
2. წინა გადახდის ქვითარი (იდენტიფიკაციისათვის);
3. ოჯახის სარეიტინგო ქულა

17. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარების პროგრამა

პროექტის მიზანია: ქალაქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ განსაკუთრებულ საჭიროების მქონე მოქალაქეებს, რომელსაც აქვთ მინიჭებული მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (I ჯგუფი) პირის სტატუსი, გაეწვიოს ერთჯერადად სოციალური დახმარება 200 ლარის ოდენობით.

პროგრამით სარგებლობის მსურველმა მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ I ჯგუფი)
3. ჯანმრთელობის ფ N 100;
4. საბანკო ანგარიში.

18. გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტის ხელშეწყობის პროგრამა.

პროექტის მიზანია სკრინინგ ჯგუფების მიერ ადრეულ ეტაპზე დიაგნოსტიკის გაკეთება და დაავადებების ადრეულ ეტაპზე აღმოჩენა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ეფექტურობას ონკოლოგიურ დაავადებასთან ბრძოლაში.

თავი II

არაფულადი სოციალური დახმარების ბენეფიციართა კატეგორიები და მათ მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია

მუხლი 1. საქველმოქმედო ასოციაცია „გურია“

პროგრამის მიზანი:

- ა) საქველმოქმედო ასოციაცია „გურია“ დღის ცენტრში მოხდება 18 წელს გადაცილებულ ბენეფიციართა მომსახურება.
- გ) ბენეფიციართა სატრანსპორტო უზრუნველყოფა;
- დ) ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურება, მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- ე) ბენეფიციართა ყოველდღიური უზრუნველყოფა 2 - ჯერადი კვებით;
- ვ) კომუნალური მომსახურების ხარჯები;
- ზ) სამეურნეო-საყოფაცხოვებო, პროფესიული და სხვა ტიპის უნარ - ჩვევების განვითარება;
- თ) სარეაბილიტაციო, სპორტულ - გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

მუხლი 2. სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამული თანადაფინანსება

პროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრში „მზის სხივი“ მოხდება უკიდურესად შეჭირვებული ბენეფიციართა მომსახურების დაფინანსება.

- ა) სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურების ანაზღაურება;
- ბ) კომუნალური მომსახურების ხარჯები;(შუქი, გაზი, წყალი, ინტერნეტი, ტელეფონი,);
- გ) დაცვისა და იჯარის ხარჯები;
- დ) სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები;
- ე) საკანცელარიო და საოფისე ინვენტარის შეძენისა და მომსახურების ხარჯები;
- ვ) ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა

ფაქტიურად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენის შედეგად მოხდება ხარჯების ანაზღაურება.

მუხლი 3. მზრუნველობა მოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა

პროგრამის მიზანია:

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ შეჭირვებული მოსახლეობის ყოველდღიური ერთჯერადი კვება.

პროგრამის სუბიექტი:

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უკიდურესად შეჭირვებულ მოქალაქეთა ყოველდღიური, ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა.

პროგრამა განხორციელდება ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში. პროგრამის დაფინანსება, თანხის გაცემა ხდება ყოველთვიურად, ლიმიტის ფარგლებში.

მუხლი 4 ხანდაზმულთა სახლისთვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამა.

პროგრამის მიზანია:

ხანდაზმული ბენეფიციარის დაკმაყოფილება საბაზისო პირობებით

ხანდაზმულთა თავშესაფარში მოთავსებული ბენეფიციარები ძირითადად სოციალურად დაუცველები არიან. პროგრამა მიზნად ისახავს ხანდაზმულთა თავშესაფარში, მოთავსებული ბენეფიციარების მომსახურების სუბსიდირებას, კერძოდ, ქალაქ ოზურგეთში, მეცნიერების ქ. #16 ში მდებარე ხანდაზმულთა სახლის კომუნალური გადასახადებით დაფინანსება.

თავი III

სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზება და ადმინისტრირება

მუხლი 1. სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი სამსახური

ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური განყოფილება პასუხისმგებელია პროგრამით მოსარგებლეთა სიების კომპიუტერულ დამუშავებაზე და ინფორმაციის დაცვაზე.

მუხლი 2. ბენეფიციართა მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად და მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა.

1. ერთჯერადი სოციალური დახმარების მისაღებად მოქალაქე წერილობით განცხადებას და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს. მიღებული განცხადებები, დადგენილი წესით ეგზავნება შესაბამის სამსახურს შესწავლისა და დასკვნის მომზადებისათვის.

2. განმცხადებლის მიერ არასრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში სამსახური უზრუნველყოფს განმცხადებლის წერილობით ინფორმირებას აღნიშნულის თაობაზე. ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში სამსახური არ განიხილავს მოთხოვნას დახმარების თაობაზე.

მუხლი 3. გადაწყვეტილების მომზადება.

1. დახმარების გაცემის საკითხის გადაწყვეტა ხდება ინდივიდუალურად, ყოველი კონკრეტული შემთხვევის არსებითად და ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე.

2. სამსახური უზრუნველყოფს ყოველთვიური დახმარების მიმღებთა ოჯახებში მომხდარი ცვლილებების სისტემატურ შემოწმებას, რის საფუძველზეც შეაქვს შესწორებები ბენეფიციართა საქმეებში.

მუხლი 4. დახმარებების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება.

1. დახმარების გაცემისა და გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მერი, სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

2. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია ბენეფიციარისათვის სასწრაფო სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და დაყოვნებამ შესაძლოა გამოიწვიოს სავალალო შედეგი, დახმარება შეიძლება გაიცეს მხოლოდ მერის ბრძანების საფუძველზე.

3. სამედიცინო დაწესებულებიდან წარმოდგენილი ანგარიშ - ფაქტურისა და სამსახურის დასკვნის საფუძველზე მერი უფლებამოსილია გასცეს საგარანტიო წერილი. სამედიცინო დაწესებულებაში თანხის ჩარიცხვა მოხდება ანგარიშ - ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.